

ლანდშაფტური და ბიოლოგიური მრავალფეროვნება, მათი შენარჩუნების პერსპექტივები

ვალერი ქამხაძე

ელ-ფოსტა: valeri.kamkhadze438@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 0179, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. #3

ლანდშაფტური მრავალფეროვნება მსოფლიოს ფონზე სუსტადაა შესწავლილი. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ლანდშაფტური რუკებიც კი არ არსებობს. ლანდშაფტური მრავალფეროვნებით და შესაბამისად მისი მნიშვნელობის თვალსაზრისითაც, ჩვენი ქვეყანა გამორჩეული რეგიონია მსოფლიოში.

საქართველო, ლანდშაფტური მრავალფეროვნების ფართობის ერთეულზე (მას ლანდშაფტის სიმჭიდროვესაც უწოდებენ) გაანგარიშებით, მოწინავე პოზიციაზეა არათუ ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში. დედამიწის ხმელეთის ყოველ 90 ათას კმ²-ზე საშუალოდ ლანდშაფტის 2 ტიპი მოდის, მაშინ როცა საქართველოში (69,7 ათას კმ-ზე) 22 ტიპია (ნ. ბერუჩაშვილი, 2000) დაფიქსირებული. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად, საგრძნობლად შემცირდა ბიომრავალფეროვნება, ანალოგიური მდგომარეობაა ლანდშაფტური მრავალფეროვნების მხრივაც. ცნობილია, რომ მთიანი ტერიტორიები ბუნებრივი პირობების მეტი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ვიდრე ვაკეები. შესაბამისად, ბარიდან მთის მიმართულებით ადგილი აქვს ლანდშაფტური მრავალფეროვნების ზრდას. ეს განსაკუთრებით ნათელია ვაკიდან მთისწინეთებისა და დაბალიმთების სარტყლამდე, უფრო მაღლა კი (საშუალო მთიდან), პირიქით, ლანდშაფტური მრავალფეროვნება კლებულობს. საერთოდ, რელიეფის დიფერენციაცია და დანაწევრების ხარისხი არსებით გავლენას ახდენს ლანდშაფტების მრავალფეროვნებაზე.

ლიტერატურა

[1] - “საქართველოს ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება“ (I ეროვნული კონფერენციის მასალები), თბილისი 1999.

[2] - ზ.სეფერთელაძე; ე.დავითაია; გ.მარგველანი - “ბუნებათსარგებლობის გეოგრაფია”., თბილისი 2011.

[3] - ზ.სეფერთელაძე - “ფიზიკურ გეოგრაფიული დარაიონება და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პრობლემები”., თბილისი 2009.